



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

დიასპორასთან ურთიერთობების გაუმჯობესება

ნინო პეტრიაშვილი

IMPROVING RELATIONS WITH THE GEORGIAN DIASPORA

*NINO PETRIASHVILI*



საქართველოს საჯარო მოხელეთა პროფესიული  
შესაძლებლობების ზრდა გადაწყვეტილების მიღებასა  
და მოლაპარაკებების წარმართვის ტექნიკაში

CAPACITY-BUILDING OF THE GEORGIAN LEADERSHIP  
COMMUNITY FOR IMPROVED DECISION-MAKING AND  
NEGOTIATION SKILLS

POLICY PAPER SERIES

2010

საქართველოს საჯარო მოხელეთა პროფესიული შესაძლებლობების ზრდა  
ბაღანყვეტილების მიღებასა და მოლაპარაკებების წარმართვის ტექნიკაში

CAPACITY-BUILDING OF THE GEORGIAN LEADERSHIP COMMUNITY FOR IMPROVED  
DECISION-MAKING AND NEGOTIATION SKILLS

## დიასპორასთან ურთიერთობების გაუმჯობესება

*ნინო პეტრიაშვილი*

## Improving relations with the Georgian diaspora

*Nino Petriashvili*



პროექტი ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო  
განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით

The Project is funded by the Swedish International Development Agency

სამეცნიერო ხელმძღვანელები: არჩილ გეგეშიძე  
ვლადიმერ პაპავა  
ალექსანდრე რონდელი

Mentors: Archil Gegeshidze  
Vladimer Papava  
Alexander Rondeli

კორექტორი: რუსუდან მარგიშვილი

Editor: Rusudan Margishvili

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

Technical Editor: Artem Melik-Nubarov

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2010 წელი

All rights reserved and belong to Georgian Foundation for Strategic and International Studies. No part of this publication may be reproduced in any form, including electronic and mechanical, without the prior written permission of the publisher

Copyright © 2010 Georgian Foundation for Strategic and International Studies

## პროექტის შესახებ

პროგრამა „საქართველოს საჯარო მოხელეთა პროფესიული შესაძლებლობების ზრდა გადამწყვეტილების მიღებასა და მოლაპარაკებების წარმართვის ტექნიკაში“ საქართველოს მთავრობას მართვის სფეროში არსებული პრობლემების დაძლევაში დაეხმარება. პროექტის ქვაკუთხედს თანამედროვე მენეჯმენტის შესახებ ცოდნის, პრაქტიკისა და უნარების საჯარო მოხელეთათვის გაცნობა და მათი ეფექტიანი განხორციელება წარმოადგენს. პროექტი ითვალისწინებს საშუალო რგოლის საჯარო მოხელეთა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართვას პოლიტიკის შემუშავებისა და მოლაპარაკებების წარმართვის ტექნიკის დასახვეწ პრაქტიკულ მეცადინეობებში. ეს მეცადინეობები მიზნად ისახავს არა მარტო თანამედროვე მიდგომების დანერგვას ქართული საჯარო ადმინისტრაციისა და საჯარო პოლიტიკის სისტემაში, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე საჯარო პოლიტიკის ქმედითი დოკუმენტების შემუშავებას.

პროგრამას აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) და ახორციელებს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (GFSIS). ამ პროექტის ფარგლებში GFSIS-ის ძირითადი პარტნიორები არიან შვედეთის საჯარო ადმინისტრაციის ინსტიტუტი (SIPU International) და ესტონეთის დიპლომატიის სკოლა (ESD).

პროგრამა ხელს შეუწყობს საჯარო მმართველობის კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც იქნება ანგარიშვალდებული და გაითვალისწინებს ქართული საზოგადოების საჭიროებებს. გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს გადამწყვეტილების მიღების სფეროში ქართული მმართველობის შესაძლებლობების გაძლიერებას, რომ გადამწყვეტილების მიღების პროცესი გახდეს უფრო გამჭვირვალე და იყოს მოქნილი გარემოებათა ცვლილების შესაბამისად. პროგრამა ასევე მოიცავს საქართველოს სახელმწიფო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებას და ქვეყნის ურთიერთობებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

პროგრამა ხორციელდება ოთხი წლის მანძილზე (2009-2013 წწ.) და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- საჯარო მოხელეთა პროფესიული მომზადება პოლიტიკისა და მოლაპარაკებების ტექნიკაში. კონკურსის გზით შერჩეულ ქართველ საჯარო მოხელეებს ქართველი, ესტონელი და შვედი ექსპერტები რვა თვის განმავლობაში ჩაუტარებენ პრაქტიკულ მეცადინეობას საჯარო პოლიტიკის წარმართვისა და მოლაპარაკებების ტექნიკის შესასწავლად. ამასთან, მონაწილეები ქვეყნისათვის აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე იმუშავებენ GFSIS-ის მენტორების ხელმძღვანელობით. სწავლების შემდეგ მოენციობა სხვადასხვა პოლიტიკურ თემაზე შექმნილი რეფერატების საჯარო განხილვა და სასწავლო ვიზიტი ესტონეთში. ხუთი საუკეთესო რეფერატი გამოქვეყნდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. პროგრამის ფარგლებში სულ იქნება ხუთი სასწავლო ჯგუფი, თითოეულ ჯგუფში კი – დაახლოებით ოცდახუთი მონაწილე.
- ტრენერთა მომზადების (ToT- Training of Trainers) კომპონენტის ფარგლებში ექვსი-ცხრა ქართველი სპეციალისტი ქართულ ენაზე შეიმუშავებს სასწავლო პროგრამას საჯარო პოლიტიკისა და მოლაპარაკებათა წარმოების სფეროში, რათა მომავალში მოხდეს ამ სასწავლო პროგრამის ქართულ ენაზე წარმართვა.
- სწავლება ადამიანური რესურსების მმართველთა პროფესიული განვითარებისათვის გამიზნულია ქართულ საჯარო სამსახურში თანამედროვე პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობაზე. ეს კომპონენტი მოიცავს საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების კურსებს და სასწავლო ვიზიტს შვედეთში.
- ცოდნისა და რესურსების გაცვლა მიზნად ისახავს საჯარო პოლიტიკის სფეროში სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის უფრო აქტიური კომუნიკაციის, ცოდნის გაცვლის, კონსულტაციისა და თანამშრომლობის ნახალისებას პროექტის ვებგვერდის შექმნისა და კურსდამთავრებულთა პროფესიული ქსელის ჩამოყალიბების გზით.

## ABOUT THE PROJECT

“Capacity-building of the Georgian Leadership Community for Improved Decision-making and Negotiation Skills” is designed to assist the Georgian government in addressing its governance challenges. This multi-component initiative aims to introduce and reinforce modern management skill sets, proficiency and practice among Georgian public officials. The project engages directly with middle level public servants and civil-society representatives through practical in-service training in policy development and negotiation techniques. Apart modernization of the Georgian public administration and public policymaking, the project activities seek to deliver actionable policy documents on the issues of national importance. The project activities and the policy initiatives will be consistent with and supportive of principles of gender and diversity equality.

The program is funded by the Swedish International Development Agency (SIDA). The Georgian Foundation for Strategic and International Studies (GFSIS), along with its principal partners - the Swedish Institute for Public Administration (SIPU International) and the Estonian School of Diplomacy (ESD), is the main implementer of the program.

The program will promote a likeminded leadership culture that is accountable and oriented to meeting the needs of the Georgian society. Furthermore, the program aims at strengthening the Georgian government capacity in decision-making, as well as increasing its transparency and flexibility in responding to the changing circumstances. In addition, this initiative intends to improve organizational cooperation among the Georgian public sectors and the country’s interaction with other states and international organizations.

The program, which will be implemented during four years (2009 – 2013), includes the following components:

- Training for government officials in policy and negotiation techniques. Selected Georgian public servants will complete an eight-month intensive training program in public administration, policy planning and negotiation techniques. Georgian, Swedish and Estonian experts will conduct the training. Furthermore, under the guidance of GFSIS mentors, the participants will work on the issues pertinent to the country development policy. The training will be followed by a public discussion of the policy papers and a study visit to Estonia. The best five papers will be published in Georgian and in English. There will be five training groups in total with approximately 25 participants in each group.
- Under the training of trainers (ToT) component, six to nine Georgian professionals will develop the curriculum and teaching materials in the public administration, policy planning and negotiations in Georgian in order to conduct similar training in the Georgian language in the future.
- Professional development training for HR managers is designed to contribute to the introduction of the best practices in human resources management within the Georgian public service. The component will include needs-based training sessions on professional development and a study visit to Sweden.
- A knowledge and resource sharing component ensures the sustainability of the program through promoting greater communication, knowledge sharing, consultation and collaboration among public-policy stakeholders across the Government of Georgia and civil society. Under this component, a project website will be established and a number of alumni retreats will be organized.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

რეზიუმე.....	7
შესავალი.....	7
პრობლემის აღწერა.....	11
პრობლემის გადაჭრის გზები (ალტერნატივები).....	19
რეკომენდაციები.....	25
დასკვნა.....	26
ბიბლიოგრაფია.....	27
დანართი.....	28

# CONTENTS

Summary.....	30
Introduction.....	31
Problem description.....	33
Possible solutions (alternatives).....	40
Recommendations.....	46
Conclusion.....	46
Bibliography.....	47
Annex.....	48

## **რ ე ზ ი უ მ ე**

წინამდებარე დოკუმენტი საქართველოსა და დიასპორების ურთიერთობას ეხება. განხილულია მიგრაციული ნაკადების გამომწვევი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მიზეზები. ნაშრომი გამოკვეთს დიასპორასთან ურთიერთობის სირთულეებს და მიზნად ისახავს იმ მიზეზთა გამოვლენას, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ დიასპორასთან ურთიერთობას. პრობლემა ეხება საზღვარგარეთ ლეგალურად თუ არალეგალურად მცხოვრებ საქართველოს მილიონ-ნახევარ მოქალაქეს.

საქართველოს განვითარებისთვის დიასპორა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რესურსია, თუმცა კვლევაზე დაფუძნებული დიასპორის სახელმწიფო სტრატეგიისა თუ პოლიტიკის არარსებობა საქართველოსა და დიასპორის ურთიერთობას არამიზანმიმართულს ხდის.

ანალიტიკური დოკუმენტის კვლევის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბელარუსის, უკრაინის და ყაზახეთის ახალი ტალღის ქართული დიასპორები.

პრობლემის განსაზღვრისა და გადაჭრის გზების ძიებისას გამოვიყენეთ ინფორმაციის ისეთი წყაროები, როგორცაა: საუნწყებო ინფორმაცია, უცხო ქვეყნებში შემუშავებული დოკუმენტები და განხორციელებული სამეცნიერო კვლევები, საერთაშორისო ორგანიზაციების მასალები და სხვ.

კვლევისას მივმართეთ თვისებრივი კვლევის მეთოდს, კერძოდ, ჩაღრმავებულ ინტერვიუსა და კითხვარებს.

## **შ ე ს ა ვ ა ლ ი**

მსოფლიო მიგრაციული პროცესების დინამიკაზე დიდი გავლენა იქონია სოციალისტური სისტემის რღვევამ. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მიგრაციის დონე საგრძნობლად გაიზარდა. მიგრაციის თავდაპირველი ნაკადები განპირობებული იყო ახლად შექმნილი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ომებითა და საზღვრისპირა

კონფლიქტებით. შემდგომში მიგრაციის ძირითად მამოძრავებელ ძალად იქცა ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები. ქვეყნებში განვითარებული კრიზისი და ცხოვრების დონის მკვეთრი გაუარესება უბიძგებდა ადამიანებს ქვეყნის დატოვებისკენ. ასე ჩნდებოდა დიასპორები.

დღესდღეობით გლობალიზებულ მსოფლიოში დიასპორა მობილური და ტრანსნაციონალურია, დიასპორა კომპლექსური, ორმაგი ან მრავალი იდენტურობის სინონიმი გახდა. რაც მთავარია, დიასპორა, როგორც წესი, აერთიანებს ახალგაზრდა, შრომისუნარიან, კვალიფიციურ და გერგილიან ადამიანებს, რომლებსაც ძალუძთ ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაცია და დროთა განმავლობაში ინტელექტუალური და ფინანსური რესურსების დაგროვებაც. ზოგჯერ დიასპორა პოლიტიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს პოტენციალი, თუკი სწორად იქნა გამოყენებული, სერიოზული რესურსია დიასპორის დონორი ქვეყნების განვითარებისთვის. აღსანიშნავია, რომ, თავის მხრივ, დონორ ქვეყნებსაც ევალებათ დიასპორაზე ზრუნვა და, სადაც შესაძლებელია, გვერდში დადგომა.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტი ეხება ქართული დიასპორისა და საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესებას. პრობლემა მასშტაბურია, ვინაიდან ეხება საზღვარგარეთ ლეგალურად თუ არალეგალურად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს. მოსახლეობის ბოლო აღწერების შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის უარყოფითი მიგრაციული სალდო აღწერათაშორის პერიოდში დაახლოებით ერთი მლნ კაცით განისაზღვრა.<sup>1</sup>

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის არაოფიციალური მონაცემებით, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების რაოდენობა 1.6 მილიონია (ეს მონაცემი არ შეიცავს ისტორიულ დიასპორას თურქეთში, აზერბაიჯანსა და ირანში). აქედან

---

<sup>1</sup> მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, თბილისი, 2003, გვ.7.

საქართველოს მოქალაქეა 1 120 000, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე — 480 000.<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ დიასპორა საქართველოს განვითარებისთვის მნიშვნელოვანი რესურსია, არ არსებობს დიასპორის ჩამოყალიბებული სახელმწიფო სტრატეგია, დიასპორასთან დამოკიდებულების პოლიტიკა, რომელიც უპირობოდ უნდა ეფუძნებოდეს ეთნოფსიქოლოგიას, ზოგადად დიასპორის კვლევას.

დიასპორისა და საქართველოს თანამშრომლობა არაეფექტიანია, რაც წარმოადგენს ძირითად პრობლემას. ამის შედეგია ის, რომ ქართული დიასპორა დღეისათვის არაორგანიზებული და ინერტულია. იკარგება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსი. ამ ურთიერთობის დასარეგულირებლად აუცილებელია აქცენტების სწორად დასმა და მხარეთა შორის ფუნქციებისა და მოვალეობების განაწილება.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი დოკუმენტის კვლევის მიზნობრივი ჯგუფი არის ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბელარუსის, უკრაინისა და ყაზახეთის ახალი ტალღის ქართული დიასპორა. ეს დიასპორები განსხვავდება ერთმანეთისგან სტრუქტურით, შემადგენლობით, სიძველით, სტატუსით, საქმიანობით, სათვისტომოს მართვის გამოცდილებითა და სხვა, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი მთავარი ნიშანი – ამ ქვეყნებში ქართულ დიასპორასთან ურთიერთობა პასიურია, რაც უარყოფითად აისახება თანამშრომლობის ეფექტიანობაზე.

გასათვალისწინებელია, რომ არსებობს საურთიერთობო რესურსი. საქართველოსა და მიმღები ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ასევე განაპირობებს იქ ჩვენი დიასპორების არსებობის პირობებსა და დანიშნულებას.

ნაშრომი მიზნად ისახავს ქართული დიასპორისა და საქართველოს არაეფექტიანი ურთიერთობის არსის განსაზღვრას, მისი მოგვარების გზების ძიებას, გარკვეული სახელმწიფოს ხელთ არსებული რესურსებიდან გამომდინარე რეკომენდაციების შემუშავებას.

---

<sup>2</sup> დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2010 წლის სამოქმედო გეგმა.

სახელმწიფო დონეზე დიასპორასთან ურთიერთობას არეგულირებს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი და საგარეო საქმეთა სამინისტრო (დიპლომატიური მისიები საზღვარგარეთ). მიგრაციისა და დიასპორის თემატიკაზე მუშაობენ არასამთავრობო ორგანიზაციები – მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი. რეკომენდაციების ადრესატებიც ძირითადად ეს ორგანიზაციები არიან.

პრობლემის განსაზღვრისა და მოგვარების გზების ძიებისას გამოყენებულ იქნა ინფორმაციის შემდეგი წყაროები:

- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მონაცემები;
- ირლანდიის, შოტლანდიის, ავსტრალიის, სომხეთის, ლიტვის, პოლონეთის, ახალი ზელანდიის, კანადის, ინდოეთის დიასპორის სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიების ოფიციალური დოკუმენტები და სამეცნიერო კვლევები;
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრის, მსოფლიო ბანკის კვლევები;
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემები;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები;
- საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს მონაცემები;
- საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემები.

კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი - ჩაღრმავებული ინტერვიუ, კითხვარები. გამოვიკითხეთ სულ 10 რესპონდენტი, მათგან 8 – სათვისტომოს თავმჯდომარე და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სამსახურის ორი უფროსი.

## პ რ ო ბ ლ ე მ ი ს ა ლ ნ ე რ ა

მცირერიცხოვანი ქვეყნებისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მისი თითოეული წევრის ჩართულობასა და მონაწილეობას ქვეყნის ცხოვრებაში. წევრში ვგულისხმობთ როგორც საქართველოს ადგილობრივ მოქალაქეებს, ისე დიასპორის წარმომადგენლებს. დიასპორასთან ურთიერთობა მით უფრო კომპლექსურია, რაც უფრო განსხვავებულია დიასპორის გეოგრაფია. მანძილი მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ ურთიერთობის სპეციფიკასა და სირთულეს. იგი მოითხოვს განსაკუთრებით დახვეწილ საკომუნიკაციო მეთოდებსა და საშუალებებს. ნებისმიერი სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელება შესაძლებელია გამართული კომუნიკაციების საშუალებით.

დიასპორისა და საქართველოს ურთიერთობას განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული. ერთი, რაც უცვლელი და საერთოა, – ეს არის სამშობლოს სიყვარული.

დიასპორა სამშობლოსთან გამუდმებულ კავშირშია, რაც გამოიხატება დღესასწაულების აღნიშვნით, მშობლიური ენისა და კულტურის შენარჩუნებით. თუმცა, ზოგ შემთხვევაში შეინიშნება მიმღებ ქვეყანასთან ნაჩქარევი ასიმილაციისა და სამშობლოსთან კავშირის სამუდამო განწყვეტის ტენდენციაც. დიასპორისთვის საქართველოში ინტეგრაციის პროცესი რთული და ფართო მასებისთვის მიუწვდომელია. მიმღებ ქვეყანაში კრიზისის ან პრობლემების არსებობის შემთხვევაში მოქალაქე ხშირად იძულებულია სამშობლოში დაბრუნდეს, მაგრამ უკან დაბრუნებული ისეთ სირთულეებს აწყდება, როგორცაა: უმუშევრობა, საზოგადოების გაუცხოება, ენობრივი ბარიერი, ღირებულებების განსხვავება.

ჩატარებული გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა, რომ ურთიერთობები არ არის აქტიური და ინტენსიური. გამოიკვეთა, რომ „დიასპორა საჭიროებს და მოითხოვს მასთან ურთიერთობის

ჩამოყალიბებულ სტრატეგიას“.<sup>3</sup> ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამშობლოსთან ურთიერთობის პროცესს არ უნდა გამოეთიშოს უცხოეთში მოქმედი არც ერთი ქართული საზოგადოება. დაუშვებლია ამა თუ იმ ნიშნით ქართველთა დიფერენციაცია ან იგნორირება. პირიქით, საჭიროა ყველას ჩართვა საერთო ფერხულში, შედეგად თავიდან იქნება აცილებული საქართველოს საზიანოდ თანამემამულეთა გადაბირების ფაქტები. ხარჯები, რომლებთანაც დაკავშირებულია ეს საკითხი, უმნიშვნელოა იმ შედეგთან შედარებით, რომელიც შეიძლება გამოიღოს ასეთმა თანამშრომლობამ. ეს გაცილებით უკეთ ნარმოაჩენდა საქართველოს სხვადასხვა ქვეყანაში იდეოლოგიურად, ეკონომიკურად, მორალურად და სხვა, და შედეგებსაც უკეთესს მოიტანდა, ვიდრე ოფიციალური წარმომადგენლობების ძალისხმევა.

თანამშრომლობა და ურთიერთობა კერძო პირთა ინტერესებს არ უნდა ემსახურებოდეს, რადგან ამით ზიანდება საერთო საქმე, ფერხდება ურთიერთობა.

იმისათვის, რომ უფრო კარგად გავერკვეთ დიასპორისა და საქართველოს ურთიერთობათა ხასიათში, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია, დავადგინოთ საქართველოსა და დიასპორებს შორის არსებული ურთიერთობების რამდენიმე ასპექტი.

### ***დიასპორის პოლიტიკური მონაწილეობა***

მოქალაქეობა პოლიტიკაში მნიშვნელოვან მონაწილეობას გულისხმობს. გამოვყავით დიასპორის პოლიტიკაში მონაწილეობის ორი მნიშვნელოვანი ფორმა: *არჩევნებში მონაწილეობა*<sup>4</sup> და *საპროტესტო აქციები*.

---

<sup>3</sup> დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მზადდება შესაბამისი კონცეფცია.


<sup>4</sup> საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიემართეთ განცხადებით, თუმცა 2010 წლის 14 მაისის №11-2539 წერილის პასუხად მიღებული ინფორმაცია არასრულია. შესაბამისად, დოკუმენტში მისი გამოყენება მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ.

საპროტესტო აქციები. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბალტიისპირეთისა და უკრაინის ქართული დიასპორა საპროტესტო აქციებით გამოვიდა და ასე გაგრძელდა მთელი თვის განმავლობაში. შემდეგში განაგრძობდნენ მასმედიის სხვადასხვა საშუალებასთან თანამშრომლობას ობიექტური და უტყუარი ინფორმაციის გავრცელების მიზნით. ბელარუსსა და ყაზახეთში განსხვავებული პოლიტიკური ვითარებისა და რუსეთთან ახლო ურთიერთობების გამო საყოველთაო საპროტესტო გამოსვლების ორგანიზება შეუძლებელი იყო. თუმცა, ბელარუსში სათვისტომოს ხელმძღვანელობა აქტიურად თანამშრომლობდა მედიასთან და აწვდიდა ობიექტურ ინფორმაციას.

### **ფულადი გზავნილები**

საქართველოს ეკონომიკაზე პირდაპირ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფულადი გზავნილები, რაც ქვეყნის მასშტაბით ყოველი მეათე ადამიანის შემოსავალს წარმოადგენს.<sup>5</sup> ფულადი გზავნილების დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში შემდეგი ხასიათისა იყო:

გრაფიკი 1. ფულადი გზავნილების დინამიკა, 2008-2010 წლებში, 1000 აშშ დოლარი



<sup>5</sup> საბანკო სექტორის შეფასების ანგარიში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, თბილისი, 2009, გვ. 5

უკრაინიდან ფულადი გზავნილები სიდიდით მეორეა რუსეთის მერე, ყაზახეთიდან განხორციელებული ტრანსფერი პირველ ათეულში შედის, ხოლო ბელარუსიდან – პირველ ოცდახუთ ქვეყანაში. ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან ფულადი გზავნილები დანარჩენი ქვეყნების კატეგორიაში თავსდება.<sup>6</sup> ასევე გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტთა მტკიცებით, ფულადი გზავნილები მესამედია მიგრაციიდან საქართველოში შემოსული თანხისა.

ამ ქვეყნების ქართულ დიასპორას, როგორც ზემოთ მოყვანილმა სტატისტიკურმა მონაცემებმა ცხადყო, თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

### ***დიასპორის მედია-საშუალებები***

ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაში, ასევე ბელარუსსა და ყაზახეთში არ გამოდის ქართულენოვანი ჟურნალი (გაზეთი), არ არის ქართულენოვანი გადაცემა. ინფორმაციის გავრცელების საშუალება არის სახელმწიფო ენაზე გამომავალი ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები. უკრაინაში გამოდის ქართულენოვანი ჟურნალი „საქართველო“, ხოლო ქართულენოვანი ნახევრსაათიანი სატელევიზიო გადაცემა „ნასლედნი კოლხიდა“ ქ. სუმის სამხარეო ტელევიზიაში კვირაში ერთხელ 2009 წლის იანვრამდე გადიოდა.

ვებგვერდები აქვთ მხოლოდ ლატვიაში არსებულ სათვისტომოებს, უკრაინაში კი – ერთ სათვისტომოს. ესტონეთსა და უკრაინაში ასევე არის თითო-თითო ვებგვერდი, რომლებიც ძველია და ტექნიკურ-ინფორმაციულ განახლებას საჭიროებს.

---

<sup>6</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, სტატისტიკური მონაცემები, გარე სექტორი, ფულადი გზავნილები ოვეების მიხედვით. 2008, 2009, 2010 წლის მონაცემები.

## *დიასპორასთან ურთიერთობის დღეისთვის არსებული რესურსები*

დიასპორასთან ურთიერთობის სხვადასხვა შესაძლებლობა არსებობს. ურთიერთობების ეს საშუალებები სხვადასხვა ინტენსივობით გამოიყენება. ეს შესაძლებლობებია:

- სახელმწიფო მინისტრის ვიზიტები მიმღებ ქვეყნებში;
- დიასპორის წარმომადგენელთა ვიზიტები დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში;
- დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომელთა ურთიერთობა დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან;
- პორტალი: [www.diaspora.gov.ge](http://www.diaspora.gov.ge);
- ფორუმი: [www.diaspora.ge](http://www.diaspora.ge);
- კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა;
- პროგრამებში მონაწილეობა;
- საკვირაო სკოლების სახელმძღვანელოებით მომარაგება;
- ანსამბლების ფორმებით უზრუნველყოფა.

## *შეხვედრები და ვიზიტები*


2010 წლის მაისში თბილისში საქართველოს დიასპორასთან ორი მასშტაბური ხასიათის შეხვედრა მოეწყო. პირველს სხვადასხვა ქვეყნის ქართული დიასპორის წარმომადგენელი ბიზნესმენები ესწრებოდნენ. ამ კვლევაში ჩვენთვის საინტერესო დიასპორებიდან ღონისძიებას მხოლოდ ერთი წარმომადგენელი დაესწრო – უკრაინიდან. მეორე ღონისძიება იყო დიასპორის დღე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 23 ქვეყნის ქართული დიასპორის ოთხმოცამდე წარმომადგენელმა. აქედან მხოლოდ 3 წარმომადგენელი დაესწრო უკრაინიდან, ბელარუსიდან და ყაზახეთიდან, ბალტიისპირეთის ქართული დიასპორიდან კი – არც ერთი. 2010 წლამდე

წლიურად ერთი, მაქსიმუმ ორი მასშტაბური ღონისძიება ტარდებოდა. 2009 წლის განმავლობაში თბილისში აღნიშნული ქვეყნების დიასპორის წარმომადგენლებთან სულ 13 შეხვედრა შედგა, მინისტრის ვიზიტი კი – არც ერთი. 2010 წლის დასაწყისიდან დღემდე სამი შეხვედრა მოეწყო დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში (იგულისხმება ღონისძიებებზე დასწრება). განხორციელდა სახელმწიფო მინისტრის ერთი ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში.

## **ვებ-პორტალი**

[www.diaspora.gov.ge](http://www.diaspora.gov.ge) ერთადერთი დიასპორაზე ორიენტირებული და ცენტრალიზებული სახელმწიფო ინტერნეტ-რესურსია, რომელიც ინფორმაციას დიასპორასა და საქართველოში ავრცელებს. დიასპორისა და საქართველოს დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა არის დიასპორის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. ზოგადად, გამოიყოფა ინფორმაციის გაცვლის ორი დომინანტური მიმართულება: ა) ინფორმაცია სამშობლოს შესახებ დიასპორისთვის და ბ) ინფორმაცია დიასპორის შესახებ სამშობლოსთვის. თუმცა, ასევე შესაძლებელია, ინფორმაციის გაცვლა იყოს თანაბარი. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, ოფიციალური ვებგვერდის მიზანია, გაავრცელოს ინფორმაცია თანაბრად ორივე მიმართულებით და იყოს ინფორმაციის მთავარი წყარო დიასპორისთვის. ვებგვერდის ყოველთვიური ანალიზის მიხედვით, მნახველები ვებგვერდს, ძირითადად, საქართველოში ჰყავს. დანარჩენი მნახველები კი არიან შემდეგი ქვეყნებიდან: რუსეთი, აშშ, გერმანია, საფრანგეთი, თურქეთი, პოლონეთი, უკრაინა, საბერძნეთი, ესპანეთი, ჩეხეთი, სომხეთი.

გრაფიკი 2. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-პორტალის ვიზიტორთა დინამიკა, 2009-2010 წლები, %



\* 2010.04 – სულ 35 ვიზიტორი

2010 წლის აპრილის მეორე ნახევრიდან, მაისისა და ივნისის ჩათვლით ჩატარებული მონიტორინგის შედეგები სავალალოა და ბადებს ეჭვს, რომ მონიტორინგის შედეგად მიღებული დასკვნები არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან ვებ-პორტალის მნახველთა რაოდენობა პრაქტიკულად ნულის ტოლია (აპრილში 35 მნახველი, მაისსა და ივნისში – თითო-თითო). შესაბამისად, ამ მონაცემებით აღარ ვისარგებლეთ. თუმცა, აპარატს ამაზე ყურადღება არ გაუმახვილებია.

პორტალის ეფექტიანობის შესაფასებლად მასზე განთავსებული ინფორმაცია და მომსახურება შევადარეთ საზღვარგარეთ არსებული შესაბამისი უწყებების ვებგვერდებს – ავარჩიეთ როგორც დამოუკიდებელი სამინისტროების, ისე სამინისტროსთან არსებული დეპარტამენტის გვერდი.

სამინისტრო:

სომხეთი - [www.mindiaspora.am](http://www.mindiaspora.am)


ინდოეთი - <http://www.moia.gov.in>

განყოფილება:

საბერძნეთი - <http://www.ggae.gr/frontoffice/portal.asp?cpage=NODE&cnode=1&clang=1>


შედარებითი ანალიზისთვის შევიმუშავეთ 39 პარამეტრი (იხ. დანართი), რომლის მიხედვითაც შევაფასეთ გვერდები. თითო პარამეტრი შეფასდა თითო ქულით, რის შედეგადაც მივიღეთ შემდეგი სურათი:

გრაფიკი 3. საქართველოს, ინდოეთის, საბერძნეთისა და სომხეთის დიასპორის საკითხებში სახელმწიფო უწყებების ვებგვერდების შედარებითი ანალიზი, ქულა.



ასევე შევისწავლეთ, თუ რამდენად შუქდება აღნიშნულ ქვეყნებში ქართული დიასპორის მოღვაწეობა და მასთან ურთიერთობა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-პორტალზე. შედეგები ძალიან დაბალია.

გრაფიკი 4. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-პორტალზე ინფორმაციის განთავსების ინტენსივობა, 2008, 2009, 2010 წლები, ერთეული.



### ფორუმი

ფორუმზე [www.diaspora.ge](http://www.diaspora.ge) ბალტიისპირეთისა და ბელარუსის ქართველების შესახებ განყოფილებები ცარიელია. „ქართული დიასპორა უკრაინაში“ – 3 თემა და 6 გამოხმაურება. ყაზახეთის შესახებ განყოფილება საერთოდ არ არის გახსნილი.

შექმნილი ვითარება არახელსაყრელია სამომავლო ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისთვის. ამა თუ იმ ქვეყნის დიასპორასთან

უფრო აქტიური კონტაქტი, მათი საქმიანობის უფრო ინტენსიური ასახვა მედია-საშუალებებით, ისეთი მგრძნობიარე ორგანიზმისთვის, როგორც დიასპორაა, ძალიან მძაფრად აღიქმება და უგულისყურობის გამო ჩნდება ნყენა, რამაც საბოლოო ჯამში, შესაძლებელია, გაუცხოება გამოიწვიოს.

## **პ რ ო ბ ლ ე მ ი ს   ბ ა დ ა ჟ რ ი ს   ბ ზ ე ბ ი ( ა ლ ტ ე რ ნ ა ტ ი ვ ე ბ ი )**

დიასპორისა და საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის შევიმუშავეთ რამდენიმე ალტერნატივა:

1. ვირტუალური საშუალებების სრულყოფა და გაუმჯობესებული სერვისის შეთავაზება დიასპორისთვის;
2. იდენტიფიკაციისა და ერთობის განმამტკიცებელი ღონისძიებები;
3. ტურისტული ურთიერთობების განვითარება;

### ***ვირტუალური საშუალებების სრულყოფა და გაუმჯობესებული სერვისის შეთავაზება დიასპორისთვის***

➤ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-პორტალი შექმნილია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების უახლესი მეთოდების გათვალისწინებით. შესაძლებელია, პორტალისა და სახელმწიფო მინისტრის აპარატში არსებული ადამიანური რესურსის საშუალებით დიასპორისთვის შეთავაზებულ იქნეს შემდეგი მომსახურება: საქართველოს რიგითი მოქალაქე, რომელიც უკვე ცხოვრობს და მოღვაწეობს ან რომელსაც აქვს სურვილი თავისი ცხოვრება და საქმიანობა განაგრძოს საზღვარგარეთ დროებით ან სამუდამოდ, ინდივიდუალურად რეგისტრირდება პორტალზე და თავისი დაგეგმილი მარშრუტის შესახებ აცნობებს უწყებას, რომელიც მას უზრუნველყოფს სათანადო ინფორმაციით მიმღებ ქვეყანაში არსებული ვითარებისა და უცხოელი მოქალაქის უფლებების შესახებ. შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნები თავსდება ვებ-პორტალზე, სადაც მოქალაქე ინდივიდუალური პაროლის საშუალებით შედის და იღებს რეკომენდაციებს. ამ სერვისის დანერგვა პრაქტიკულად არ არის დაკავშირებული ხარჯებთან, ეს ფუნქცია შესაძლოა შეითავსოს

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა.

**შედეგი:** საქართველოს მოქალაქეებში იზრდება ნდობა სახელმწიფოსადმი, ისინი არიან უფრო დაცული და ინფორმირებული, აქვთ საშუალება მიიღონ სწორი გადაწყვეტილება. მოწესრიგებული დიასპორა სასარგებლოა სახელმწიფოსთვის, რადგან რთული სიტუაციების დარეგულირებისას იგი ნაკლებ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალისხმევას საჭიროებს, საქართველოს იმიჯი უმჯობესდება.

- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-პორტალი ფლობს რესურსს, რომელიც ქართულ სათვისტომოებს დარეგისტრირების შემთხვევაში სთავაზობს სრულყოფილ ვებგვერდებს დომენზე დიასპორა.გოვ.გე. მომხმარებელ სათვისტომოს მხოლოდ ისლა დარჩენია, რომ მართოს ადმინისტრაციული პანელი და გააშუქოს სათვისტომოს საქმიანობა, განათავსოს სიახლეები და გალერეები. ხარჯს მხოლოდ ადგილობრივი ინტერნეტის გადასახადი შეადგენს. დარეგისტრირებისას მომხმარებელს ეგზავნება ადმინისტრაციული პანელის მართვის სახელმძღვანელო ქართულ და ინგლისურ ენაზე. ამ სერვისის ამუშავებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დიასპორა.გოვ.გე-ს ადმინისტრატორმა ჩაატაროს დისტანციური ტრენინგი. აღნიშნული რესურსი ამჟამად პასიურ მდგომარეობაშია, პორტალის ადმინისტრატორს შეუძლია დანიშნოს ინდივიდუალურად დრო და გასცეს სათანადო რეკომენდაციები ადმინისტრაციული პანელის სრულყოფილი მოხმარებისთვის. ინფორმაციის განახლება კვირაში ერთხელ ან ორჯერ სრულიად საკმარისია. სამწუხაროდ, დიასპორის წარმომადგენლები ხშირად არიან მოუცლელი, ამიტომ წლის განმავლობაში დიასპორის საუკეთესო ვებგვერდის გამოვლენა და დიასპორის დღეზე მათთვის ჯილდოს გადაცემა კარგი სტიმული იქნებოდა.

**შედეგი:** ქართული სათვისტომოს მინიმალური დანახარჯებით აქვს სრულყოფილი ვებგვერდი, მისი საქმიანობა თვალსაჩინოა, ხოლო ინფორმაციის გაცვლა – ინტენსიური. ეს რესურსი ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პოპულარიზებას, საქართველოზე უტყუარი ინფორმაციის გავრცელებასა და ტურიზმის განვითარებას.

- ურთიერთობის ეფექტიანობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის ქართული ენის შენარჩუნება. პორტალზე განთავსებულია ქართული ენის შესასწავლი პროგრამა ხუთ ენაზე: თურქულ, აზერბაიჯანულ, ირანულ, სომხურ და ოსურ ენებზე. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ქართულ დიასპორაში დიდია მოთხოვნა რუსულენოვანი ქართულის

თვითმასწავლებელზე ან ქართული ენის დისტანციური სწავლების კურსზე რუსულენოვანებისთვის. პორტალის მარჯვენა მენიუში განთავსებულია მოდული „შენი სკოლა“, რომელიც სათაურის შესაბამის დატვირთვას საჭიროებს. ამ რესურსის გამოყენება ბევრად გააიოლებს ქართული ენის სწავლების საკითხს. სანყის ეტაპზე შესაძლებელია არსებული სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსიის შესყიდვა და პორტალზე განთავსების უფლების მოპოვება. სახელმძღვანელოს ღირებულება შეადგენს 3500 ლარს.

**შედეგი:** ქართული დიასპორის დიდი ნაწილისთვის ხელმისაწვდომი იქნება ქართული ენის გახსენებისა და დაუფლების საშუალება. პოსტსაბჭოთა სივრცეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულენოვანი დიასპორის არსებობა. აღნიშნული სერვისი გააუმჯობესებს ურთიერთობას, სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში ამ ხალხს ნაკლებად ექნება ენობრივი ბარიერი.

### *იდენტიფიკაციისა და ერთობის განმამტკიცებელი ღონისძიებები*

- დიასპორის სტრატეგიული ცენტრი “ჩლობალ ჩეორგიან”.<sup>7</sup> ორგანიზაციის 50% დაკომპლექტებული იქნება სხვადასხვა ქვეყანაში წამყვან და მმართველ თანამდებობებზე მომუშავე საქართველოს მოქალაქეებისგან, დანარჩენი კი შესაძლებელია დაკომპლექტდეს სათვისტომოს თავმჯდომარეების, ხელოვანების, მეცნიერების და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანებისგან. ორგანიზაციის მიზანია საქართველოს ხელისუფლებასთან ჰქონდეს პირდაპირი კონტაქტი, მისცეს რეკომენდაციები, დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობები ქართულ კომპანიებთან, რაც ხელს შეუწყობს ქართული ბიზნესის გლობალურ დონეზე გასვლას. ორგანიზაციის წევრები შეიკრიბებიან წესდებით განსაზღვრულ დროს, დადგენილი ინტენსივობით. “ჩლობალ ჩეორგიან”-ის დაარსებისა და მისი ფუნქციონირების ხარჯები შეწირულობების საშუალებით უნდა დაიფაროს. ყოველწლიური ერთი შეკრების ბიუჯეტი შეადგენს 100000 ლარს.

**შედეგი:** ქართული დიასპორა სახელმწიფოს სთავაზობს ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების, ინვესტიციების მოზიდვის, საზღვარგარეთ არსებულ მონინავე კომპანიებში ქართველი სპეციალისტების სტაჟირების საშუალებას. ამა თუ იმ საკითხის მოგვარების მათი ინოვაციური ხედვა დადებითი შედეგის მომტანი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს, ასევე დიასპორისთვის.

---

<sup>7</sup> ასეთი ორგანიზაციების არსებობის გამოცდილება აქვს შოტლანდიას (Global Scot), სომხეთს (Global Armenian), ავსტრალიას (Advance-Global Australians)

- საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 22 თებერვლის 127-ე ბრძანებულებით, 2007 წელი დიასპორის წლად, 27 მაისი კი „ქართული დიასპორის დღედ“ გამოცხადდა. მას შემდეგ, ყოველწლიურად, ამ დღის აღსანიშნავად დიასპორის წარმომადგენლები ჩამოდიან საქართველოში. ამ დღეს ასევე შეიძლება მოენწყოს დიასპორის წარმომადგენლების დაჯილდოების ცერემონია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვადასხვა დარგში მოღვაწე საქართველოს მოქალაქეებისა და ქართველების შრომისა და შემოქმედების დაფასებას. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლოა დაჯილდოვდეს დიასპორის საუკეთესო ვებგვრდი. ღონისძიების ბიუჯეტი შეადგენს 150-200 ათას ლარს. მონაწილეთა რაოდენობა – 100-150.

**შედეგი:** ქართული დიასპორა უახლოვდება სახელმწიფოს და თავს მის შემადგენელ ნაწილად თვლის, რაც ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. იზრდება ქართული დიასპორის წევრების მოტივაცია სახელმწიფოს მშენებლობაში წვლილის შეტანისა და თანამშრომლობისთვის.

- 27 მაისის გარდა, მიზანშეწონილია, რომ ყოველწლიურად კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართოს (რიგრიგობით) რომელიმე მიმღებ ქვეყანაში, სადაც ღონისძიებაზე მინვეული იქნებიან: დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი და სხვადასხვა ქვეყნიდან ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეები (შესაძლებელია შეირჩეს გეოპოლიტიკური თვალსაზრისით). ღონისძიება იქნება ერთდღიანი. თუკი დიასპორის დღის ორგანიზებას დიასპორის აპარატი მთლიანად უზრუნველყოფს, შესაძლებელია, მიმღებ ქვეყანაში დაგეგმილი ღონისძიება იყოს თვითდაფინანსებით, რაც გულისხმობს მხოლოდ ღონისძიების ჩატარებისთვის აუცილებელ ხარჯს: 15000 ლარის ეკვივალენტი ლოკალურ ვალუტაში.

**შედეგი:** ეს ღონისძიება გააძლიერებს ქართულ დიასპორებს, მათს ურთიერთკავშირს, ხელს შეუწყობს არსებული პრობლემების მოგვარებას, ქართული დიასპორისა და მისი საქმიანობის პოპულარიზაციას მიმღებ ქვეყანებში. ასევე, იქმნება შესაძლებლობა ადგილობრივი ქართული დიასპორის უფრო ფართოდ გაცნობისა, ვიდრე ეს საქართველოში გამართულ ღონისძიებებზე ხერხდება.

### *ტურისტული ურთიერთობების განვითარება*

- სახელმწიფოს შეუძლია აქცენტი გააკეთოს მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე. ეს ნაკლებხარჯიანი და

ეკონომიკურად მომგებიანი იქნება სანყის ეტაპზე, რადგან მსხვილი ბიზნესით დაკავებული დიასპორის წარმომადგენლები მთლიანი დიასპორის მცირე ნაწილს წარმოადგენენ. ძირითადი ნაწილი კი რიგითი მიგრანტები არიან, რომლებიც საზღვარგარეთ სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად წავიდნენ. ვფიქრობთ, ასეთი უხეში მიდგომა დააზიანებს ურთიერთობებს და დააშორებს დიასპორას საქართველოსთან. ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე ორიენტირებული ქვეყნების სტრატეგიებსა თუ კვლევებში, ყველგან აღნიშნულია, რომ: „კულტურა მეორეხარისხოვანი კი არ უნდა იყოს ეკონომიკური ინიციატივების ფონზე, არამედ დიასპორის პროგრესული სტრატეგიის ერთიანი პაკეტის ნაწილი“.<sup>8</sup> სტრატეგია თანაბრად უნდა იყოს ფოკუსირებული კულტურასა და ეკონომიკაზე.<sup>9</sup> დიასპორასა და საქართველოს შორის ორმხრივ სარგებელზე ორიენტირებული ეკონომიკური ურთიერთობები ხელს შეუწყობს როგორც საქართველოს, ისე დიასპორის განვითარებასა და გაძლიერებას. დიასპორას შეუძლია ახალი ბაზრების შექმნა ექსპორტისთვის და ასევე ინვესტიციების მოზიდვა. ბელარუსის ქართული დიასპორა დაინტერესებული იყო ღვინის იმპორტის გაზრდით, ასევე, საქართველოში სასტუმროების მშენებლობით, ტურისტული ურთიერთობების დამყარებით.

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ შიდა ტურიზმი მცირე დანახარჯებით შესაძლებელია იყოს მომგებიანი საქართველოსთვის როგორც დიასპორასთან ურთიერთობის გაუმჯობესების, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. 2007-2008 წლებში ტურისტების რაოდენობა შემომსვლელების მთლიანი რაოდენობის 20%-ს შეადგენდა.<sup>10</sup>

ვფიქრობთ, ქართული დიასპორისთვის საქართველოს ტურიზმის ქვეყნად შეთავაზება გამართლებული არ იქნება. სამშობლოში ჩამოსვლისას ისინი სახლში არიან და არა სტუმრად. ჩვენ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ დიასპორის წევრებს არ სჭირდებათ საქართველოში ტურისტული სერვისით სარგებლობა. ვფიქრობთ, უფრო საინტერესო და მომგებიანი იქნება, თუ ქართულ სათვისტომოებს ხელს შევუწყობთ, რომ ადგილობრივ საზოგადოებას საქართველო გააცნონ მათი მოზიდვისა და დაინტერესების მიზნით.

ასეთი ღონისძიებების მოწყობისთვის აუცილებელია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის,

---

<sup>8</sup>Boyle M. Kitchin R. Towards an Irish Diaspora Strategy: A Position Paper, National University of Ireland, 2009, გვ. 4

<sup>9</sup>Boyle M. Kitchin R. The Scottish Diaspora and Diaspora Strategy: Insights and Lessons from Ireland, Department of Geography and National Institute for Regional and Spatial Analysis, National University of Ireland, Scottish Government Social Research, 2009, გვ. 7

<sup>10</sup> საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემები.

საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობა. უნდა შემუშავდეს მცირე მოცულობის პრეზენტაციები (ე.წ. შეთავაზებები) საქართველოს ტურისტული რესურსის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა. საქართველოს შიდა ტურიზმის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება შეიძლება იმ დღესასწაულებზე, რომლებსაც წელიწადში რამდენჯერმე აღნიშნავს დიასპორა, ასევე, სხვადასხვა გამოფენასა თუ ღონისძიებაზე, სადაც ისინი იღებენ მონაწილეობას. ასეთი მიდგომით შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული დამატებითი ხარჯები. მასალების მომზადება შესაძლებელია ტურისტული სეზონების მიხედვით. ასევე შესაძლებელია ქართველი ფოტოგრაფების ნამუშევრების პოპულარიზება. მასალების მომზადებისთვის საერთო ბიუჯეტი 2 224 ლარს შეადგენს.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თანამშრომლობით მომზადდება მასალები, აპარატი ასევე უზრუნველყოფს დიასპორასთან ურთიერთობას. ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური ფოსტის საშუალებით შესაძლებელია ამ ფოტო და ვიდეო მასალის გადაგზავნა.

**შედეგი:** ეს ღონისძიება დიასპორას საქართველოსთან დაახლოებს, ურთიერთობა უფრო ინტენსიური და აქტიური იქნება. საქართველოს კულტურას გაიცნობს ამა თუ იმ ქვეყნის ფართო საზოგადოება, მოიმატებს ტურისტთა რაოდენობა და ეკონომიკური სარგებლიანობა.

## ალტერნატიული პოლიტიკის შედეგების მატრიცა

მიზანი	შეფასების კრიტერიუმები	ვირტუალური საშუალებების სრულყოფა და გაუმჯობესებული სერვისის შეთავაზება დიასპორისთვის	იდენტიფიკაცია და ერთობის უმანარუნეკლი ღონისძიებები	ტურისტული ურთიერთობების განვითარება
ურთიერთობის კვანტანობის გაზრდა	ხარჯი (ლარი)	3500	15000- 300000	2224
	მოსამზადებელი ვადები (კვირები)	2-8	4-12	4
	შედეგიანობა <sup>11</sup> (ბალი)	5	5	4
	პოლიტიკური მიზანშეწონილობა <sup>12</sup>	++	+++	+++
	ინსტიტუციონალური შესაძლებლობები <sup>13</sup>	+++	++	++

### რეკომენდაციები

დიასპორასა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული და დოკუმენტში განხილული ღონისძიებები ერთმანეთს ხელს არ უშლის და მათი განხორციელება გარკვეული დროის განმავლობაშია შესაძლებელი. თუმცა ალტერნატიული პოლიტიკის შედეგების მატრიცის საფუძველზე ვასკვნიტ, რომ გასანევი ხარჯის, დახარჯული დროისა და შედეგიანობის, ასევე, დიასპორის სპეციფიკის გათვალისწინებით საუკეთესო გადაწყვეტილება არის ფართო

<sup>11</sup> მონაცემები ეყრდნობა ავტორის ინტუიტიურ შეფასებებს.

<sup>12</sup> მონაცემები ეყრდნობა ავტორის ინტუიტიურ შეფასებებს.

<sup>13</sup> მონაცემები ეყრდნობა ავტორის ინტუიტიურ შეფასებებს.

აუდიტორიის მომცველი ალტერნატივა – ვირტუალური საშუალებების სრულყოფა და გაუმჯობესებული სერვისის შეთავაზება დიასპორისთვის. ამ ღონისძიების ფარგლებში შესაძლებელია დიასპორისა და საქართველოს ინტეგრაციის პროცესის დაჩქარება და გამართული საკომუნიკაციო სისტემის ფორმირების ხელშეწყობა.

ამ ალტერნატივის განსახორციელებლად რეკომენდებულია:

- პორტალზე არსებული ფიზიკური პირის რეგისტრირების სერვისის გააქტიურება, შიდა გვერდის შემქნა, რომელზე შესვლაც მხოლოდ დარეგისტრირებულ პირებს შეეძლება და სადაც მომხმარებელი მოთხოვნილ ინფორმაციას მიიღებს;
- პორტალზე არსებული იურიდიული პირის რეგისტრირების სერვისის გააქტიურება და დიასპორის სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფა; დისტანციური სწავლების ორგანიზება ახლად შექმნილი ვებგვერდების მომხმარებელთათვის; ყოველწლიურად, დიასპორის დღეს, საუკეთესო ვებგვერდის გამოვლენა.
- ქართული ენის თვითმასწავლებლის ელექტრონული ვერსიის შექმნა და რუსულენოვანი მომხმარებლისთვის ვებ-პორტალზე განთავსება.

## დასკვნა

დიასპორასთან ურთიერთობის გაუმჯობესება შეუძლებელია უცბათ და ეპიზოდური ღონისძიებებით. იგი გულისხმობს გამუდმებულ ურთიერთობასა და ყურადღებას. სახელმწიფომ უნდა გაითავისოს დიასპორის როლი საქართველოს განვითარებაში და სწორად შეაფასოს ძლიერი და მონესრიგებული დიასპორის მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა ღრმად შეისწავლოს საკუთარი ერის ეთნოფსიქოლოგია და გაუფრთხილდეს უდიდეს ადამიანურ რესურსს, რომელიც პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სარგებლის მომტანია. წინამდებარე დოკუმენტში განხილული ღონისძიებები, ვფიქრობთ, შედეგიანი იქნება და მალე

მოიცავს არა მხოლოდ ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, უკრაინის, ბელარუსისა და ყაზახეთის, არამედ სხვა ქვეყნების ქართულ დიასპორასაც. აქვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებებიც შეიძლება არ იყოს შედეგიანი და ეფექტიანი, თუკი დიასპორის სტრატეგია არ განისაზღვრება იმდენად ფართოდ, რომ თავიდან იქნეს არიდებული ეროვნული, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ბუნდოვანება. თავის მხრივ, დიასპორამაც უნდა გამოიჩინოს კეთილი ნება, ითანამშრომლოს საქართველოსთან და არ განცალკევდეს მისგან, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურა. საერთო მიზნის მიღწევა მხოლოდ ორმხრივი მონდომებითა და ძალისხმევით არის შესაძლებელი. ეფექტური ურთიერთობები კი ნაცოფიერი თანამშრომლობის წინაპირობაა.

## **ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა ჟ ი ა**

1. ახალი გზებისა და საშუალებების გამოცდა რეგიონების დარბი მოსახლეობის მიერ ფულადი გზავნილების ეფექტურად გამოყენების ხელშეწყობის მიზნით. საბანკო სექტორის შეფასების ანგარიში. 2008 წლის სექტემბერი-2009 წლის იანვარი, თბილისი, 2009.
2. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მასალები.
3. მიგრაცია №3, გამომცემლობა «უნივერსალი», თბილისი, 2009.
4. მიგრაცია №2, გამომცემლობა «უნივერსალი», თბილისი, 2008.
5. მიგრაცია №1, გამომცემლობა «უნივერსალი», თბილისი, 2007.
6. მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში, მიგრაციის კვლევის ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
7. ჭელიძე ნ., შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოდან, თბილისი, 2006.
8. საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს მასალები.
